

**მწვანე ალტერნატივას განმარტება ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის, ილია ელოშვილისა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის წინააღმდეგ წარდგენილ სარჩელებთან დაკავშირებით**

2013 წლის 19 სექტემბერს 14:05:15 საათზე რადიო კომერსანტთან მიცემულ ინტერვიუში საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ილია ელოშვილმა განაცხადა: „მწვანე ალტერნატივა“ არასამთავრობოების რადიკალურ ფრთას განეკუთვნება. ყოველთვის უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას, რაც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია... ეს არასამთავრობო ორგანიზაციები, დღეს რომ თავს იღებენ, ნუ ჩაერევინ, თორემ ყველამ ყველაფერი კარგად ვიცით, ვიცით ვის რა ინტერესები ამოძრავებს. ჩვენ ეკლესიასაც ძალიან დიდი პატივს ვცემთ და იმ საფლავებსაც. შესაბამისად, ჩვენ გვინდა ამ ხალხთან დიალოგი და ამაში წინ ვერავინ ვერ დაგვიდგება... სახელმწიფოს ჰუმანურობა არ უნდა მივიღოთ სახელმწიფოს სისუსტედ. დაშინების და მუქარის ენით სახელმწიფოსთან ვერავინ ვერ ილაპარაკებს, ეს გამორიცხულია. ეს უნდა გაითვალისწინოს გინდა სამთავრობომ, გინდა არასამთავრობომ.

2013 წლის 11 ნოემბერს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გამართული ერთი წლის მუშაობის შედეგების პრეზენტაციის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა: "მწვანე ალტერნატივის უაზრო გაკეთებულ განცხადებებზე პასუხის გაცემისგან თავს შევიკავებ, ეს არის რადიკალური ჯგუფი, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყანაში ეკონომიკის ზრდას, ეკონომიკის განვითარებას, ქვეყნის განვითარებას. გაზეთ "24 საათში" 2013 წლის 12 ნოემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში ერთი წლის მუშაობის შედეგების შეჯამებისას საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ განაცხადა: "„მწვანე ალტერნატივა“ რადიკალური ჯგუფია, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ისინი ფულს იღებენ იმაში, რომ ქვეყანაში არაფერი გაკეთდეს. დასკვნები თქვენ გამოიტანეთ, რას წარმოადგენენ". ინტერნეტ მედია საშუალება <http://news.ge>-ს სტატიაში "კახა კალაძე: "მწვანე ალტერნატივა" ფულს იმაში იღებს, რომ ქვეყანაში არაფერი გაკეთდეს" საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ განაცხადა" "„მწვანე ალტერნატივა" არის რადიკალური ჯგუფი, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ისინი იღებენ ფულს იმაში, რომ ქვეყანაში არაფერი გაკეთდეს. დასკვნები თქვენ გამოიტანეთ, რას წარმოადგენენ".

ბატონი ილია ელოშვილისა და ბატონი კახა კალაძის მიერ წარმოდგენილ შესაგებლებში კიდევ უფრო მძაფრი შეფასებებია გამოყენებული. კერძოდ, შესაგებლებში აღნიშნულია:

აღვნიშნავთ, რომ „მწვანე ალტერნატივა“ თავისი დაუსაბუთებელი განცხადებებით აშკარად ეწინააღმდეგება ენერგეტიკის სამინისტროს მნიშვნელოვან წამოწყებებს და ცდილობს ხელი შეუშალოს ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელებას, მათ შორის ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ენერგეტიკის მინისტრს ინვესტორი კომპანიის ინტერესების ლობირებაში, მოსახლეობის ზეწოლაში და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების დისკრედიტაციის მცდელობაში ადანაშაულებს, რაზეც მეტყველებს მასმედიის საშუალებებში მოსარჩელის მიერ გამოქვეყნებული არაერთი სტატია და გაკეთებული შეფასება, მათი მონაწილეობით ჩატარებული ქუჩის აქციები, რომლის ერთ-ერთი მაგალითია აქცია – „არა ხუდონჰესს და სხვა დიდ ჰესებს. ყოველივე ზემოაღნიშნული მეტყველებს ასოციაციის მიერ წამოწყებულ აშკარა რეადიკალურ

კამპანიაზე, რაც სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროექტების განხორციელების ხელშეშლაში გამოიხატება“.

ბატონმა ილია ელოშვილმა ზემოთმოყვანილი განცხადებები გააკეთა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის რანგში, ხოლო ბატონი კახა კალაძე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი და ამავდროულად ქვეყნის ვიცე-პრემიერია. ასეთი მაღალი რანგის თანამდებობის პირების მიერ გაკეთებული განცხადებები სარწმუნოა ქვეყნის მოსახლეობისათვის, საჯარო მოსამსახურეებისათვის, მედიის წარმომადგენლებისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის და ა.შ. მათ მიერ გაკეთებული ზემოთმოყვანილი განცხადებები არის მწვანე ალტერნატივას წლების განმავლობაში მოპოვებული საზოგადოებრივი ნდობისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა.

მწვანე ალტერნატივას მისიაა საქართველოს გარემოს, ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეკონომიკურად ხელსაყრელი და გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობის, გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გზით. ორგანიზაციის მიზნებია: საქართველოში მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრება; საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით სფეროში; ადამიანის უფლებებისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

ამ მიზნების მისაღწევად ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია მოსახლეობასთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან, მედიასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა/თანამშრომლობა. ყოველ კონკრეტულ პროექტთან თუ საკითხთან მიმართებაში, რომელზეც მუშაობს მწვანე ალტერნატივა, ორგანიზაცია ცდილობს გარემოსდაცვითი, სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაწყვეტილების მიმღებ პირების სთავაზობს რეკომენდაციებს, რომელიც დაეხმარება მათ გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით გაწონასწორებული, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებაში. ასევე, მწვანე ალტერნატივა ეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას თავისი ინტერესებისა და უფლებების დაცვაში. ასეთი მიდგომის შედეგად წლების განმავლობაში მწვანე ალტერნატივამ, პარტიორ ორგანიზაციებთან ერთად, არაერთი გეგმისა თუ პროექტის დადებითად შეცვლასა და დახვეწას შეუწყო ხელი (აღნიშნულის, მხოლოდ მცირე ნაწილის სადემონსტრაციოდ, გთხოვთ, იხილოთ თანდართული „ადვოკატირება გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის: ადვოკატირების ათი კამპანია“, 2011)

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“. შესაბამისად, ქვეყნის ტერიტორიაზე ნებისმიერი პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის და აუცილებლობის საკითხის განხილვა და შეფასება აუცილებლად უნდა მოიცავდეს მსჯელობას და ანალიზს იმ საკითხზე, ხომ არ უქმნის ესა თუ ის პროექტი საფრთხეს

ზემოაღნიშნულ კონსტიტუციურ პრინციპს, და შესაბამისად - ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობას.

ადამიანის უფლებებისათვის კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით მინიჭებული ესოდენ მაღალი ღირებულება ავალდებულებს სამოქალაქო საოზგადოებას დააფიქსიროს პოზიცია და აზრი გამოთქვას, მათ შორის, მოუწოდოს ხელისუფლებას განახორციელოს გარკვეული ღონისძიებები ან თავი შეიკავოს მათი განხორციელებისაგან. ასეთი ვადებულება არსებობს არამხოლოდ მაშინ, როცა იარსებებს ადამიანის უფლებათა დარღვევის უტყუარად დადასტურებული ფაქტები, არამედ მაშინაც, როცა გაჩნდება ამ უფლებათა ხელყოფის საფრთხე. ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი თავისი მასშტაბით და სპეციფიკით, როგორც არაერთი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, ასეთ საფრთხეებს მოიცავს და ამის დასტურია, პროექტის გარშემო წლების განმავლობაში ჩაუმცხრალი დისკუსია და საზოგადოებრივი პროტესტი. პროექტის რისკების არასათანადოდ შეფასებაზე მეტყველებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე გაკეთებული 100 შენიშვნა (გთხოვთ, იხილოთ თანდართული).

ასევე, წარმოგიდგინთ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებულ და პროექტის განმახორციელებლისათვის გაგზავნილ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს და პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ორგანიზაციის მიერ გაკეთებულ განცხადებებს (გთხოვთ, იხილოთ თანდართული).

2011 წლის 28 აპრილს საქართველოს მთავრობასა და კომპანია ტრანს ელექტრიკა ლიმიტედს შორის დაიდო ხელშეკრულება ხუდონჰესის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ. ხელშეკრულებით, კომპანიამ აიღო ვალდებულება, რომ შეასრულებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის, მოიპოვებს პროექტის განსახორციელებლად აუცილებელ ნებართვებსა და ლიცენზიებს. სწორედ ნებართვებისა და ლიცენზიების გზით იღებს სახელმწიფო (კომპეტენტური ორგანოები - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო) საბოლოო გადაწყვეტილებას პროექტის განხორციელებაზე (გარკვეული პირობებით) ან საერთოდ განუხორციელებლობაზე. სწორედ ამ გზით შეუძლია სახელმწიფოს შეაფასოს ისეთი პროექტის აკვარგაიანობა, რომელიც „ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან“ (კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“) და სწორედ ასეთთა რიგს მიეკუთვნება ხუდონჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას ჯერ არც კი მიუშარტავს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისთვის ნებართვების მოსაპოვებლად და შესაბამისად, ამ ორგანოებს არ მიუღიათ გადაწყვეტილება პროექტის შესახებ, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი და მისი მოადგილე აცხადებენ, რომ ხუდონჰესი აუცილებლად აშენდება. ხაზი უნდა გაყუსვას, რომ კანონმდებლობის

თანახმად, ენერგეტიკის სამინისტროს კომპეტენციაში საერთოდ არ შედის ამგვარი პროექტის განხორციელება-განუხორციელებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

მწვანე ალტერნატივას და 53 სხვა არასამთავრო ორგანიზაციას, რომლებმაც ხელი მოაწერეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების 2013 წლის 15 ოქტომბრის განცხადებას (გთხოვთ, იხილოთ თანდართული) ხუდონჰესის პროექტთან დაკავშირებით, მიაჩნია, რომ აღნიშნული წარმოადგენს დაგეგმილ პროექტზე გადაწყვეტილების მიღების კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი პროცედურების სრულ უგულებელყოფას და ზეწოლას კომპეტენტურ ორგანოებსა და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობაზე.

აღსანიშნავია, რომ ამ მოსაზრებას იზიარებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომლის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის 2013 წლის ანგარიშში (გთხოვთ, იხილოთ თანდართული) მითითებულია: „საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახალხო დამცველის ყურადღების ერთ-ერთ მთავარ საგანს წარმოადგენდა ქვეყნის მასშტაბით გიგანტური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ამჟამად სწავლობს მესტიის რაიონის სოფელ ხაიშში დაგეგმილი ხუდონის და აჭარაში, შუახევის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობის კანონიერების, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების სავარაუდო დარღვევის საკითხებს. სახალხო დამცველის პირველადი შეფასებით, არსებობს საფუძვლიანი კითხვები ხუდონის ჰესის მშენებლობისათვის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე დასრულებული სახით არ არსებობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, ხოლო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოებაც კი არ არის დაწყებული. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან კეთდება საჯარო განცხადებები ჰესის აშენების გარდაუვალობის თაობაზე. არსებითია, რომ სახალხო დამცველის აპარატმა ამ ეტაპამდე ვერ მოიპოვა ადგილობრივი მოსახლეობის განსახლების გეგმა და საკუთრების კომპენსაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია“.

„ადამიანის უფლებების დამცველებთან დაკავშირებით“ ევროკავშირის სახელმძღვანელო მითითებების თანახმად: „ადამიანის უფლებათა დამცველების მუშაობა ხშირად მთავრობის პოლიტიკისა და მოქმედებების კრიტიკას მოიცავს, მაგრამ ეს ხელისუფლებამ ნეგატიურად არ უნდა აღიქვას. ხელისუფლების პოლიტიკისა და მოქმედებების თაობაზე დამოუკიდებელი შეხედულებებისა და თავისუფალი დებატების შესაძლებლობის დაშვების პრინციპი ფუნდამენტალური ღირებულებაა და ის ადამიანის უფლებათა დაცვის დონის ამაღლების გამოცდილ გზას წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა დამცველებს შეუძლიათ დაეხმარონ ხელისუფლებებს ადამიანის უფლებების ხელშეწყობასა და დაცვაში. კონსულტაციების პროცესის ფარგლებში მათ შეუძლიათ ითამაშონ გადამწყვეტი როლი შესაბამისი კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული გეგმებისა და სტრატეგიების მომზადებაში. საჭიროა ამ როლის აღიარება და მხარდაჭერა“<sup>1</sup>. შესაბამისად, სახალხო დამცველის თუ სხვა უფლებადამცველთა მხრიდან კრიტიკული დამოკიდებულება არ უნდა იქნას აღქმული, როგორც ქვეყნის განვითარებისა და სახელმწიფოსათვის

<sup>1</sup> თავი III, პუნქტი 5.

სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროექტების განხორციელების ხელშეშლა და მითუმეტეს „დისკრედიტაციის მცდელობა“ (როგორც ეს ენერგეტიკის სამინისტრომ განაცხადა სახალხო დამცველის განცახდებასთან მიმართებაში).

აქვე აღვნიშნავთ, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის 1998 წლის 9 დეკემბრის რეზოლუციით /53/ 144 მიღებულის დეკლარაციის - ინდივიდთა, ჯგუფთა და საზოგადოებრივ ორგანოთა უფლებისა და პასუხისმგებლობის საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა წახალისების შესახებ, თანახმად:

მუხლი 6. ყველას, ცალკე ან სხვებთან გაერთიანებაში აქვთ უფლება:

(გ) გამოიკვილონ, განიხილონ, ჩამოაყალიბონ და იქონიონ შეხედულება პრაქტიკაში ან კანონმდებლობის დონეზე ადამიანის ყველა უფლებისა და ძირითად თავისუფლებების დაცულობის შესახებ და ამ შეხედულებების საფუძველზე და სხვა შესაბამისი საშუალებით ამ საკითხებს საზოგადოების ყურადღება მიაპყრონ.

მუხლი 8.

1. ყველას, ცალკე ან სხვებთან გაერთიანებაში აქვთ უფლება ჰქონდეთ ქმედითი შესაძლებლობა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე მონაწილეობა მიიღონ მათი ქვეყნის მართვაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

2. სხვა საკითხებთან ერთად ეს მოიცავს უფლებას, ცალკე ან სხვებთან გაერთიანებაში სახელმწიფო ორგანოებსა და სააგენტოებს განსახილველად წარუდგინოს კრიტიკული შეფასებები და შეთავაზებები მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად და ყურადღება მიაპყრონ მათი საქმიანობის ნებისმიერ ასპექტს, რომელიც შეიძლება ზღუდავდეს ან აზრკოლებდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ხელშეწყობას, დაცვას და განხორციელებას.

ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძისა და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის, ილია ელოშვილის ზემოთმოყვანილი განცახდებები მწვანე ალტერნატივას საქმიან რეპუტაციას შელახვის გზით, ზღუდავს ორგანიზაციის გაეროს დეკლარაციით დადგენილი ზემოთმოყვანილი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას.

ნინო გუჯარაიძე

მწვანე ალტერნატივა

აღმასრულებელი დირექტორი